

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2019 წლის 11 იანვარი

ქ. ცაგერი

„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №60 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.116.016445) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი გუგავა

დანართი №1

თავი I

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე | 2019 წლის გეგმა | მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე |
|-------------------------|-----------------|-----------------|---|---|-----------------|---|---|
| I. შემოსავლები | 8185.25 | 9985.61 | 4333.61 | 5652.00 | 7831.25 | 1372.75 | 6458.50 |
| გადასახადები | 515.46 | 572.20 | 0.00 | 572.20 | 6190.50 | 0.00 | 6190.50 |
| გრანტები | 7361.36 | 9235.41 | 4333.61 | 4901.80 | 1530.75 | 1372.75 | 158.00 |
| სხვა შემოსავლები | 308.42 | 178.00 | 0.00 | 178.00 | 110.00 | 0.00 | 110.00 |
| II. ხარჯები | 4876.35 | 5250.89 | 23.27 | 5227.62 | 5748.80 | 0.00 | 5748.80 |
| შრომის ანაზღაურება | 1418.95 | 1389.40 | 0.00 | 1389.40 | 1545.00 | 0.00 | 1545.00 |
| საქონელი და მომსახურება | 713.17 | 684.67 | 0.00 | 684.67 | 854.50 | 0.00 | 854.50 |
| პროცენტი | 0.00 | 52.50 | 0.00 | 52.50 | 60.00 | 0.00 | 60.00 |



| | | | | | | | |
|--|----------------|----------------|-----------------|----------------|----------------|-----------------|----------------|
| სუბსიდიები | 2323.75 | 2546.10 | 0.00 | 2546.10 | 2783.40 | 0.00 | 2783.40 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 281.23 | 354.98 | 0.00 | 354.98 | 306.00 | 0.00 | 306.00 |
| სხვა ხარჯები | 139.25 | 223.24 | 23.27 | 199.97 | 199.90 | 0.00 | 199.90 |
| III. საოპერაციო სალდო | 3308.89 | 4734.72 | 4310.34 | 424.38 | 2082.45 | 1372.75 | 709.70 |
| IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3187.14 | 6819.87 | 6195.19 | 624.67 | 3900.62 | 2974.72 | 925.90 |
| ზრდა (ა) | 3294.56 | 6849.87 | 6195.19 | 654.67 | 3920.62 | 2974.72 | 945.90 |
| კლება (ა) | 107.41 | 30.00 | 0.00 | 30.00 | 20.00 | 0.00 | 20.00 |
| V. მთლიანი სალდო | 121.75 | 2085.15 | -1884.86 | -200.29 | 1818.17 | -1601.97 | -216.20 |
| VI. ფინანსური აქტივების ცვლილება | 115.67 | 2085.15 | -1884.86 | -200.29 | 1818.17 | -1601.97 | -216.20 |
| ზრდა (ფ) | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| კლება (ფ) | -115.67 | 2085.15 | 1884.86 | 200.29 | 1818.17 | 1601.97 | 216.20 |
| ვალუტა და დეპოზიტები | -115.67 | 2085.15 | 1884.86 | 200.29 | 1818.17 | 1601.97 | 216.20 |
| VII. ვალდებულებების ცვლილება | -6.08 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| კლება (ვ) | 6.08 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| საშინაო | 6.08 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები | 6.08 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| VIII. ბალანსი | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

მუხლი 2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|------------|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| | | | | | | |



| | | | | | | |
|------------------------------|----------|---------|----------|----------|---------|----------|
| შემოსულობები | 10,015.6 | 5,682.0 | 4,333.6 | 7,851.3 | 6,478.5 | 1,372.8 |
| შემოსავლები | 9,985.6 | 5,652.0 | 4,333.6 | 7,831.3 | 6,458.5 | 1,372.8 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 30.0 | 30.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 |
| გადასახდელები | 8176.99 | 5882.29 | 6218.47 | 9669.42 | 6694.70 | 2974.72 |
| ხარჯები | 5250.89 | 5227.62 | 23.27 | 5748.80 | 5748.80 | 0.00 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 6849.87 | 654.67 | 6195.19 | 3920.62 | 945.90 | 2974.72 |
| ვალდებულებების კლება | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ნაშთის ცვლილება | -2,085.1 | -200.3 | -1,884.9 | -1,818.2 | -216.2 | -1,602.0 |

მუხლი 3. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7831,3 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|------------------|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| შემოსავლები | 9985.6 | 5652.0 | 4333.6 | 7,831.3 | 6,458.5 | 1,372.8 |
| გადასახადები | 572.2 | 572.2 | 0.0 | 6190.5 | 6190.5 | 0.0 |
| გრანტები | 9235.4 | 4901.8 | 4333.6 | 1530.8 | 158.0 | 1372.8 |
| სხვა შემოსავლები | 178.0 | 178.0 | 0.0 | 110.0 | 110.0 | 0.0 |

მუხლი 4. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

| დასახელება | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|--------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 572.2 | 0.0 | 572.2 | 6,190.5 | 0.0 | 6,190.5 |



| | | | | | | |
|---|-------|-----|-------|---------|-----|---------|
| საშემოსავლო გადასახადი | 142.8 | | 142.8 | 0.0 | | 0.0 |
| დღგ | | | | 5,840.5 | | 5,840.5 |
| ქონების გადასახადი | 429.4 | 0.0 | 429.4 | 350.0 | 0.0 | 350.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 369.4 | | 369.4 | 320.0 | | 320.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 2.0 | 0.0 | 2.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 0.0 | | | 0.0 | | |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე | 2.0 | | 2.0 | 0.0 | | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფიზიკური პირებიდან | 0.0 | | | 0.0 | | |
| იურიდიული პირებიდან | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 58.0 | 0.0 | 58.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| ფიზიკური პირებიდან | 0.0 | | | 0.0 | | |
| იურიდიული პირებიდან | 58.0 | | 58.0 | 30.0 | | 30.0 |

მუხლი 5. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 1530,8 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|--|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 9,235.4 | 4,333.6 | 4,901.8 | 1,530.8 | 1,372.8 | 158.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 9,235.4 | 4,333.6 | 4,901.8 | 1,530.8 | 1,372.8 | 158.0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 8,235.4 | 3,333.6 | 4,901.8 | 158.0 | 0.0 | 158.0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 4,592.4 | | 4,592.4 | 0.0 | | 0.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი | | | | | | |



| | | | | | | |
|---|----------------|----------------|------------|----------------|----------------|------------|
| დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 158.0 | | 158.0 | 158.0 | | 158.0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 3,485.0 | 3,333.6 | 151.4 | 0.0 | 0.0 | |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1,000.0 | 1,000.0 | 0.0 | 1,372.8 | 1,372.8 | 0.0 |
| რეგიონების ფონდის | 0.0 | | | 1,372.8 | 1,372.8 | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები | 1,000.0 | 1,000.0 | | 0.0 | 0.0 | |

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 110.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|--|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 178.0 | 0.0 | 178.0 | 110.0 | 0.0 | 110.0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 47.0 | 0.0 | 47.0 | 47.0 | 0.0 | 47.0 |
| პროცენტები | 5.0 | | 5.0 | 5.0 | | 5.0 |
| რენტა | 42.0 | 0.0 | 42.0 | 42.0 | 0.0 | 42.0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 40.0 | | 40.0 | 40.0 | | 40.0 |
| შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 2.0 | | 2.0 | 2.0 | | 2.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 23.0 | 0.0 | 23.0 | 23.0 | 0.0 | 23.0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 8.0 | 0.0 | 8.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 1.0 | | 1.0 | 1.0 | | 1.0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 2.0 | | 2.0 | 2.0 | | 2.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 5.0 | | 5.0 | 5.0 | | 5.0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |



| | | | | | | |
|--|------|--|------|------|--|------|
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 15.0 | | 15.0 | 15.0 | | 15.0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 40.0 | | 40.0 | 40.0 | | 40.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 68.0 | | 68.0 | 0.0 | | 0.0 |

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5748,8 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|-------------------------|-----------------|--------------------|---|-----------------|--------------------|----------------------------------|
| | სულ | საბიუჯეტო სახსრები | სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები | სულ | საბიუჯეტო სახსრები | სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი |
| ხარჯები | 5250.89 | 5227.62 | 23.27 | 5748.80 | 5748.80 | 0.00 |
| შრომის ანაზღაურება | 1389.40 | 1389.40 | 0.00 | 1545.00 | 1545.00 | 0.00 |
| საქონელი და მომსახურება | 684.67 | 684.67 | 0.00 | 854.50 | 854.50 | 0.00 |
| პროცენტი | 52.50 | 52.50 | 0.00 | 60.00 | 60.00 | 0.00 |
| სუბსიდიები | 2546.10 | 2546.10 | 0.00 | 2783.40 | 2783.40 | 0.00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 354.98 | 354.98 | 0.00 | 306.00 | 306.00 | 0.00 |
| სხვა ხარჯები | 223.24 | 199.97 | 23.27 | 199.90 | 199.90 | 0.00 |

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3900,62 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2017 ფაქტი | 2018 გეგმა | 2019 პროექტი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები | მ.შ. დონორების დაფინანსება |
|--------------------|--|------------|------------|--------------|-------------------------|----------------------------|
| 7.00 | მთლიანი ხარჯები | 8,177.0 | 12,100.8 | 9669.4 | 6694.7 | 2974.7 |
| 7.10 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1,915.1 | 2,140.2 | 2,279.4 | 2,279.4 | 0.0 |



| | | | | | | |
|---------|---|---------|---------|---------|---------|---------|
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1,915.1 | 2,032.6 | 2,279.4 | 2,279.4 | 0.0 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1,915.1 | 1,990.9 | 2,219.4 | 2,219.4 | 0.0 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 41.70 | 60.0 | 60.0 | 0.0 |
| 7.1.6 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 0.0 | 107.60 | 85.30 | 85.30 | 0.00 |
| 7.20 | თავდაცვა | 64.20 | 70.40 | 0.0 | 65.7 | 0.0 |
| 7.2.5 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში | 64.20 | 70.40 | 0.0 | 65.7 | 0.0 |
| 7.40 | ეკონომიკური საქმიანობა | 2,524.9 | 4,669.8 | 4785.32 | 1810.60 | 2974.72 |
| 7.4.2 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 232.0 | 190.10 | 235.20 | 235.20 | 0.0 |
| 7.4.2.1 | სოფლის მეურნეობა | 232.0 | 190.10 | 235.20 | 235.20 | 0.0 |
| 7.4.5 | ტრანსპორტი | 2,141.7 | 4,206.5 | 140.0 | 140.0 | 0.0 |
| 7.4.5.1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 2,141.7 | 4,206.5 | 140.0 | 140.0 | 0.0 |
| 7.4.7 | ეკონომიკის სხვა დარგები | 1.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7.4.7.4 | მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტი | 1.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7.4.9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში | 150.20 | 273.20 | 400.0 | 400.0 | 0.0 |
| 7.50 | გარემოს დაცვა | 55.40 | 200.0 | 5.0 | 5.0 | 0.0 |
| 7.5.2 | ჩამდინარე წყლების მართვა | 55.40 | 200.0 | 5.0 | 5.0 | 0.0 |
| 7.60 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1,439.2 | 2,715.3 | 899.50 | 899.50 | 0.0 |
| 7.6.1 | ბინათმშენებლობა | 34.90 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7.6.2 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 97.30 | 177.50 | 200.0 | 200.0 | 0.0 |
| 7.6.3 | წყალმომარაგება | 72.80 | 19.20 | 28.0 | 28.0 | 0.0 |
| 7.6.4 | გარე განათება | 119.10 | 120.0 | 140.0 | 140.0 | 0.0 |
| 7.6.6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო- | 1,115.1 | 2,398.6 | 531.50 | 531.50 | 0.0 |



| | | | | | | |
|--------|---|---------|---------|---------|---------|-----|
| | კომუნალურ მეურნეობაში | | | | | |
| 7.70 | ჯანმრთელობის დაცვა | 88.20 | 89.30 | 89.3 | 89.3 | 0.0 |
| 7.7.4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 88.20 | 89.30 | 89.3 | 89.3 | 0.0 |
| 7.80 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1,149.7 | 1,258.9 | 1,332.8 | 1,332.8 | 0.0 |
| 7.8.1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 303.60 | 331.0 | 335.70 | 335.70 | 0.0 |
| 7.8.2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 820.20 | 900.0 | 967.70 | 967.70 | 0.0 |
| 7.8.3 | ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 9.40 | 9.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 |
| 7.8.4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 16.60 | 18.90 | 20.40 | 20.40 | 0.0 |
| 7.90 | განათლება | 631.60 | 644.90 | 713.60 | 713.60 | 0.0 |
| 7.9.1 | სკოლამდელი აღზრდა | 575.10 | 589.50 | 657.60 | 657.60 | 0.0 |
| 7.9.8 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 56.60 | 55.40 | 56.0 | 56.0 | 0.0 |
| 7.10 | სოციალური დაცვა | 308.60 | 312.0 | 318.0 | 318.0 | 0.0 |
| 7.10.3 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 0.8 | 2.50 | 2.5 | 2.5 | 0.0 |
| 7.10.4 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 224.30 | 207.0 | 215.0 | 215.0 | 0.0 |
| 7.10.7 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 83.50 | 102.0 | 100.0 | 100.0 | 0.0 |
| 7.10.9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 0.0 | 0.5 | 5.0 | 0.5 | 0.0 |

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - **1818,17** ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე | 2019 წლის პროგნოზი | მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე |
|---------------|-----------------|-----------------|---|---|--------------------|---|---|
| მთლიანი სალდო | 121.74699 | -2066.85 | -1884.86 | -182.00 | -1818.17 | -1601.97 | -216.20 |



მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – **0,0** ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება – **0,0** ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – **0,0** ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 60,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 158.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 89,3 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 65,7 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 3,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ცაგერის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც ყველაზე აქტუალურია მოსახლეობისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ცაგერის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური



ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით პერიოდულად ხდება სტიქიური და მათ შორის განსაკუთრებით მეწყრული მოვლენებისაგან დაზიანებული გზების გაწმენდა ჩამონაშალი და მეწყრული მასისაგან, ასევე მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდება თოვლის საფარისაგან შიდა სასოფლო და სოფლებისა და მუნიციპალიტეტის ცენტრს შორის დამაკავშირებელი გზების გაწმენდა. 2019 წელს განხორციელდება ქ. ცაგერის ასფალტირების სამუშაოები.

1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ასევე იგეგმება წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებები.

1.2.1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებთაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და სოფლის ცენტრებში ახალი წერტილების მოწყობა.

1.2.2. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03 04)

გასულ წლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სოფლების წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით შეძენილიქნა სხვადასხვა დიამეტრის მილები, რომელიც საჭიროა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის.

1.2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. 2019 წელს იგეგმება სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმება სხვადასხვა დეკორაციებით, საახალწლოდ ქალაქის ცენტრში სცენის მოწყობა და ქალაქის ქუჩების საახალწლო განათების დამონტაჟება,

1.2.4. ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოდნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

1.2.5 ა(ა)იპ „კომუნალური მეურნეობა“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 10)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის დასახლებებში კომუნალური



მოსახურეობის(ტერიტორიების დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა) და გარე განათების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ქ. ცაგერის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ქ. ცაგერის ტერიტორიაზე კეთილმოწყობა და გამწვანება. ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილ იქნა სპეციალური ნაგავმზიდი და სანაგვე ურნები, მოსახლეობას მოემსახურება ასენიზაციის ავტომანქანა.

1.2.6. ა(ა)იპ "ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი" (პროგრამული კოდი 03 03 15)

გზების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში რეალური შედეგების მისაღწევად, წყალმომარაგების სისტემის ხელმძღვანელობის კონტროლის მიზნით, მისი სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობების, ასევე სასოფლო-სამეურნეო დარგის აღდგენა-განვითარების თვალსაზრისით, არსებული პრობლემების აღმოფხვრა-გადაჭრის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი".

1.3. მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 03 07)

2019 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური რჩება შიდარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდარაიონული ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.ამ მიზნით 2019 წელსაც განხორციელდება ცაგერი-ტვიშის, ცაგერ-ლაილაში-თაბორის, ცაგერი-ღვირიშის, ცაგერი-ზოგიში, ცაგერი-ოყურეში, ცაგერი-ქულბაქი, ცაგერი-მახაში, ცაგერი-დებვირი, ცაგერი-უსახელო და ცაგერი-აღვის მიმართულებებზე მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საწვავის თანხის გამოყოფა და სუბსიდირების სახით გადაცემა (გადაზიდვებს ახორციელებს შპს „საჭე-ცაგერი“).

1.4. მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 08)

პროგრამის ფარგლებში 2018 წელს ხორციელდებოდა და 2019 წელს გაგრძელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (5%).

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში 2019 წელს გაგრძელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

2.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 300 მეტი ბავშვი. ბავშვების აღზრდას ემსახურება 78 პედაგოგი და 78 დამხმარე მოსამსახურე. იგეგმება მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში შიდა წყალგაყვანილობის სისტემების მოწესრიგება და მათი გამრიცხველიანება. 2019 წელს საბავშვო ბაღების კვების ბლოკებისათვის შეძენილი იქნება ჭურჭელი, ხოლო ბავშვებისათვის – სათამაშოები. ქალაქის ბაღებისათვის შეძენილ იქნება ინვენტარი.

2.2. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 20 წრე, რომელშიც ჩაბმულია 200 მოსწავლე (სადმრთო სჯული, მხატვრული კითხვა, დრამატული მხარეთმცოდნეობა, სახალისო



მათემატიკა, ზოგადი უნარები, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, ქიმია, ქსოვა, ნორჩი მათემატიკა, ფოლკლორი, ცოცხალი სამყარო, ლიტერატურულ-შემოქმედებითი, მუსიკა).

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და შენარჩუნებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა.

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის კომპლექსურ-სასპორტო სკოლის და საფეხბურთო კლუბი „ხვამლის“, ფრენბურთის კლუბის და საჭადრაკო კლუბის დაფინანსება, რათა სპორტსმენებისათვის შეიქმნას შესაბამისი სავარჯიშო პირობები და მოხდეს ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში სპორტის 8 სახეობაში გაიმართება რაიონული პირველობები ცაგერისა და ლაჯანის ზონებში: ქართულ ჭიდაობაში, ქალთა და ვაჟთა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში, მკლავჭიდში, ჭადრაკსა და შაშში. ასევე საქართველოს პირველობებზე წარსდგებიან სპორტსმენები სპორტის 7 სახეობაში. (ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი). აღნიშნულ სახეობებში 232 ბავშვს ავარჯიშებს 16 მწვრთნელი.

3.1.1. ა(ა)იპ – ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის კომპლექსურ-სასპორტო სკოლის დაფინანსება 2019 წელს სპორტის სახეობებში გაიმართება რაიონული პირველობები ცაგერისა და ლაჯანის ზონებში: ქართულ ჭიდაობაში, ქალთა და ვაჟთა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში, მკლავჭიდში, ასევე საქართველოს პირველობებზე წარსდგებიან სპორტსმენები სპორტის 7 სახეობაში. (ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი, ფრენბურთი). აღნიშნულ სახეობებში 232 ბავშვს ავარჯიშებს 16 მწვრთნელი.

3.1.2. ა(ა)იპ – საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“ (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის საფეხბურთო კლუბ „ხვამლის“ დაფინანსება, რათა სპორტსმენებისათვის შეიქმნას შესაბამისი სავარჯიშო პირობები და მოხდეს ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

3.1.3. ა(ა)იპ – ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“ (პროგრამული კოდი 05 01 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფრენბურთის კლუბ „ცაგერის“ დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ფრენბურთისა და საპლიაჟო ფრენბურთის პოპულარიზაციას.

3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ლადობის სახალხო ზეიმი ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

3.2.1. ცაგერის კულტურის ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი გააგრძელებს ცაგერის კულტურის ცენტრის ფინანსურ მხარდაჭერას, სადაც გაერთიანებულია:



- გრ. მდივნის სახელობის ცაგერის სახალხო თეატრი;
- საბავშვო მუსიკალური თეატრი (20 წევრი);
- ფოლკლორული ანსამბლი „სალადობო“ (14 წევრი);
- ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ხვამლი“ (20 წევრი);
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალადობო“ (14 წევრი);
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმი“ (30 წევრი);
- ქალთა ანსამბლი „საპოვნელა“ (8 წევრი);
- საბავშვო მუსიკალური თეატრ-სტუდია (25 წევრი);
- კამერული გუნდი (25 წევრი);
- კულტურული ობიექტი „მწვანე თეატრი“.

- სასოფლო კლუბები.

3.2.2. მუზეუმისა და გალერეის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 05 02 02)

2019 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის მუზეუმისა და გალერეის დაფინანსება. ცაგერის ისტორიული მუზეუმი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ლადო ასათიანის მემორიალური სახლ-მუზეუმი, არჩილ-გელოვანის სახლ-მუზეუმი, სევერიან ისიანის სახლ-მუზეუმი, დიდების მუზეუმი და სურათების გალერეა. მუზეუმში დაცულია 10 000-მდე ექსპონატი დამხმარე მასალის ჩათვლით და ქვეყანაში არსებულ მუზეუმებს შორის თავისი სიმკვლეებითა და საინტერესო ექსპოზიციებით გამორჩეული ჩვ.წ.ად.მდე შუა და გვიან ბრინჯაოს პერიოდის იარაღებითა და სამკაულებით. იგეგმება მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა მუზეუმის კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობაში. საგამოფენო ექსპონატების სისტემატიზაცია და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2013-2014 წელს დაიწყო არქეოლოგიური გათხრები მცხეთა-დებვირის ტერიტორიაზე და აღმოჩენილი იქნა ახალი არქეოლოგიური მასალები, ძვ.წ. viii-v სს-ის კერემიკა, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების კერემიკა, ლითონის ჭურჭელი და იარაღი, ამ ახალი ექსპონატებით გამდიდრდა ცაგერის ისტორიული მუზეუმი. 2019 წელსაც ცხეთა დებვირის ტერიტორიაზე რომელიც უკვე ცაგერის ისტორიული მუზეუმის შემადგენლობაში შედის „მუზეუმი ღია ცისქვეშ“ სახით, იგეგმება სხვადასხვა შინაარსობრივი არქეოლოგიური ექსპედიციის დაფინანსება, რომელზეც დამოკიდებულია მუზეუმის კოლექციის შევსება, ხოლო ღია ცისქვეშ მუზეუმის ტერიტორიაზე ახალი არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა ზრდის ტურისტთა და ინტერესებს რეგიონისადმი.

3.2.3. მუსიკალური სკოლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქ. ცაგერში ფუნქციონირებს 1 სამუსიკო სკოლა, სადაც კლასიკურ მუსიკალურ განათლებას იღებს 62 მოსწავლე. (გადასახადი თითოეულ მოსწავლეზე 10 ლარი, რომელიც ხმარდება მასწავლებელთა ხელფასის შევსებასა და კომუნალურ გადასახადებს); სკოლაში დასაქმებულია 10 პედაგოგი და 7 ტექ. პერსონალი.

1. სამხატვრო სკოლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამით გათვალისწინებულია ცაგერის სამხატვრო სკოლის დაფინანსება. სკოლის სხვადასხვა ჯგუფებში განათლებას იღებს 45 მოსწავლე (გადასახადი თითოეულ მოსწავლეზე 3 ლარია). იგეგმება მოსწავლეთათვის სამხატვრო ინვენტარის შეძენა; სამხატვრო სკოლაში ისწავლება ფერწერა, გრაფიკა, კომპოზიცია, მერწვა და გამოყენებითი ხელოვნება, რომელიც თავისთავად მოიცავს მაკრამეს ხელოვნებას, გობელენსა და ქსოვას. სამხატვრო სკოლაში დასაქმებულია 17 მასწავლებელი.

1. ბიბლიოთეკების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 05)

მოსწავლე ახალგაზრდობის საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლების მიზნით 2019 წელს იგეგმება ბიბლიოთეკების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი მთავარი, ერთი საბავშვო, ერთი ახალგაზრდობის და სოფლის 39 ბიბლიოთეკა. მიმდინარეობს წიგნის ფონდის შევსება და დაკომპლექტება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 173359 ბეჭდურ ერთეულს, აქედან 41231 ცალი არის ქალაქის წიგნადი ფონდი, ხოლო 132128 ცალი სოფლების წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკას ჰყავს 68 საშტატო თანამშრომელი, აქედან 29 ქალაქის, ხოლო 39 სოფლის.



3.2.6. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 06)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2019 წელს დაგეგმილი სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა.

3.2.7. ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 07)

მუნიციპალიტეტში გამოდის გაზეთი „ლეჩხუმი“, რომლის გამოცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს იღებს მუნიციპალიტეტი. ეს კუთხეში მიმდინარე მოვლენების ყოველთვიური გაშუქების ერთადერთი საშუალებაა, რომელიც ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

3.2.8. ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 09)

ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გენდერულ საკითხებთან მიმართებაში და საქართველოში ბოლო დროის შექმნილი მდგომარეობის, ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ – ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი.

3.2.9. ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 11)

ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმის“ დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 70-მდე ბავშვს და მოზარდს, 2011 წელს ანსამბლს მიენიჭა სახალხო ანსამბლის საპატიო წოდება, ანსამბლი წარმატებით გამოდის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ფესტივალებში.

3.2.10. ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 14)

ცაგერის მუნიციპალიტეტში სერიოზული პრობლემებია ახალგაზრდობის მიგრაციის კუთხით დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების, ახალგაზრდობის დასაქმების, ახალგაზრდა ოჯახების ხელშეწყობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაციის მიზნით შექმნილი ახალგაზრდობის ცენტრი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ასევე ცენტრი წარმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობას და ამ მხრივ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას სათანადო ინფორმაციითა და რეკომენდაციებით შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

3.2.11. ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 15)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული, კულტურული და რელიგიური ძეგლების დაცვა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, დღევანდელი მოთხოვნათა შესაბამისად დღის წესრიგში დგება ძეგლების მოვლა-პატრონობის გაძლიერება და სარეაბილიტაციო აღდგენითი სამუშაოების პროგრამის განხორციელება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ლეჩხუმის მომავლისათვის.

3.3. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მუნიციპალიტეტში არსებული მოქმედი ეკლესია-მონასტრების ელექტროენერჯის ხარჯის დაფარვაში.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას, უკიდურესად გაჭირვებული და მზრუნველობამოკლებული ბენეფიციარების ერთჯერადი კვებით მომსახურებას, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება



საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

4.1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელოების ღონისძიებები.

4.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.2.1. ვეტერანთა სარიტუალო მომსახურებისა და კომუნალური ხარჯების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა, მეორე მსოფლიო ომის და ავღანეთის ომის მონაწილეთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება, სარიტუალო მომსახურეობის თანხა – 250 ლარი.

4.2.2. ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფა(პროგრამული კოდი 06 02 03)

პროგრამით გაგრძელდება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დახმარება. მუნიციპალიტეტში ასეთი 15 ადამიანია. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად გაიწევა დახმარება 200ლარის ოდენობით.

4.2.3. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:



- ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად გაიწევა დახმარება იმ ოჯახებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას, დახმარების ოდენობას განსაზღვრავს კომისია. დახმარების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 300 ლარს თითოეულ ოჯახზე.
- ცაგერის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები, დიალიზზე დამოკიდებული პაციენტი ფინანსდება ყოველთვიურად და დახმარების მოცულობა განისაზღვრება თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით,
- სხვადასხვა სახის მძიმე ოპერაციების (ონკოლოგიური, ტრავმატოლოგიური, კარდიო-ქირურგიული, ნეიროქირურგიული, უროლოგიური, მუცლისღრუს) თანადაფინანსება, რომლებიც არ ფინანსდება დაზღვევით ან ფინანსდება ადაზღვევით, მაგრამ ძვირადღირებულია (400 ლარზე მეტი) სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლე ბენეფიციართათვის, მათი მხრიდან გადასახდელი თანხის 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.
- სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევების თანადაფინანსება, რომლებიც არ ფინანსდება დაზღვევით ან ფინანსდება დაზღვევით, მაგრამ ძვირადღირებულია (300 ლარზე მეტი) პირის გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა,
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი სოციალურად დაუცველ ორსულთა სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფა დახმარება განისაზღვრება თვეში 100 ლარის პროდუქტით.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18-წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსური დახმარება შეადგენს 250 ლარს.
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემა ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ყველა ხანდაზმულ მოქალაქეს, რომელთა ასაკი განისაზღვრება 90 წელს ზევით.

დახმარების თანხა განისაზღვრება 90 წლიდან-95 წლამდე 100 ლარის ოდენობით, 95-დან 100-წლამდე 200 ლარი, 100 წლიდან ზევით 300 ლარის ოდენობით.

4.2.4. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი კვებით მომსახურეობა. (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

2019წელს მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული 103 ბენეფიციარის ერთჯერადი კვებით მომსახურეობა ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით. აქედან 78 ბენეფიციარის მომსახურეობა მოხდება ქ. ცაგერში და 25 ბენეფიციარის სოფ. ლაჯანაში. ბენეფიციარის მოთხოვნისამებრ ხდება, როგორც ადგილზე მომსახურება, ასევე ბენეფიციარისათვის კონკრეტული ულუფის სახლში გატანება. აღნიშნული მომსახურეობის გაწევას ახორციელებს 3 მზარეული და 5 მომსახურე პერსონალი.

5. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

5.1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა (კოდი 01 00)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს.

5.2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (კოდი 02 00)

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვა-გაწვევის და ტრანსპორტირების ღონისძიებები.



ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 17. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 9669.4ათასი ლარის ოდენობით

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|--------------------|---|-----------------|--------------------|----------------------------------|-----------------|--------------------|----------------------------------|
| | | სულ | საბიუჯეტო სახსრები | სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი | სულ | საბიუჯეტო სახსრები | სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი |
| | სულ ჯამი | 12100.76 | 5882.29 | 6218.47 | 9669.42 | 6694.70 | 2974.72 |
| | ხარჯები | 5250.89 | 5227.62 | 23.27 | 5748.80 | 5748.80 | 0.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 1389.40 | 1389.40 | 0.00 | 1545.00 | 1545.00 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 684.67 | 684.67 | 0.00 | 854.50 | 854.50 | 0.00 |
| | პროცენტი | 52.50 | 52.50 | 0.00 | 60.00 | 60.00 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 2546.10 | 2546.10 | 0.00 | 2783.40 | 2783.40 | 0.00 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 354.98 | 354.98 | 0.00 | 306.00 | 306.00 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 223.24 | 199.97 | 23.27 | 199.90 | 199.90 | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6849.87 | 654.67 | 6195.19 | 3920.62 | 945.90 | 2974.72 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2098.60 | 2075.33 | 23.27 | 2364.70 | 2364.70 | 0.00 |
| | ხარჯები | 2070.50 | 2047.23 | 23.27 | 2329.70 | 2329.70 | 0.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 1328.30 | 1328.30 | 0.00 | 1488.60 | 1488.60 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 472.05 | 472.05 | 0.00 | 623.20 | 623.20 | 0.00 |
| | პროცენტი | 52.50 | 52.50 | 0.00 | 60.00 | 60.00 | 0.00 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 45.68 | 45.68 | 0.00 | 6.00 | 6.00 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 171.97 | 148.70 | 23.27 | 151.90 | 151.90 | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 28.10 | 28.10 | 0.00 | 35.00 | 35.00 | 0.00 |
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 629.30 | 629.30 | 0.00 | 664.60 | 664.60 | 0.00 |
| | ხარჯები | 624.30 | 624.30 | 0.00 | 659.60 | 659.60 | 0.00 |



| | | | | | | | |
|--------------|--|----------------|----------------|--------------|----------------|----------------|-------------|
| | შრომის ანაზღაურება | 482.30 | 482.30 | 0.00 | 504.00 | 504.00 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 85.92 | 85.92 | 0.00 | 103.00 | 103.00 | 0.00 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0.68 | 0.68 | 0.00 | 1.00 | 1.00 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 55.40 | 55.40 | 0.00 | 51.60 | 51.60 | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5.00 | 5.00 | 0.00 | 5.00 | 5.00 | 0.00 |
| 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 1361.63 | 1361.63 | 0.00 | 1554.80 | 1554.80 | 0.00 |
| | ხარჯები | 1338.53 | 1338.53 | 0.00 | 1524.80 | 1524.80 | 0.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 846.00 | 846.00 | 0.00 | 984.60 | 984.60 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 386.03 | 386.03 | 0.00 | 460.20 | 460.20 | 0.00 |
| | პროცენტი | 52.50 | 52.50 | 0.00 | 60.00 | 60.00 | 0.00 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 45.00 | 45.00 | 0.00 | 5.00 | 5.00 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 9.00 | 9.00 | 0.00 | 15.00 | 15.00 | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 23.10 | 23.10 | 0.00 | 30.00 | 30.00 | 0.00 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0.10 | 0.10 | 0.00 | 60.00 | 60.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 0.10 | 0.10 | 0.00 | 60.00 | 60.00 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.10 | 0.10 | 0.00 | 60.00 | 60.00 | 0.00 |
| 01 05 | წინა წელს გამოუყენებელი თანხის უკან დაბრუნება | 107.57 | 84.30 | 23.27 | 85.30 | 85.30 | 0.00 |
| | ხარჯები | 107.57 | 84.30 | 23.27 | 85.30 | 85.30 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 107.57 | 84.30 | 23.27 | 85.30 | 85.30 | 0.00 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 70.40 | 70.40 | 0.00 | 65.70 | 65.70 | 0.00 |
| | ხარჯები | 70.40 | 70.40 | 0.00 | 65.70 | 65.70 | 0.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 61.10 | 61.10 | 0.00 | 56.40 | 56.40 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 9.30 | 9.30 | 0.00 | 9.30 | 9.30 | 0.00 |



| | | | | | | | |
|----------|---|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| 02 02 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამადლებს ხელშეწყობა | 70.40 | 70.40 | 0.00 | 65.70 | 65.70 | 0.00 |
| | ხარჯები | 70.40 | 70.40 | 0.00 | 65.70 | 65.70 | 0.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 61.10 | 61.10 | 0.00 | 56.40 | 56.40 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 9.30 | 9.30 | 0.00 | 9.30 | 9.30 | 0.00 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 7602.92 | 1407.72 | 6195.19 | 4785.32 | 1810.60 | 2974.72 |
| | ხარჯები | 783.85 | 783.85 | 0.00 | 899.70 | 899.70 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 157.75 | 157.75 | 0.00 | 163.00 | 163.00 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 626.10 | 626.10 | 0.00 | 736.70 | 736.70 | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6819.07 | 623.87 | 6195.19 | 3885.62 | 910.90 | 2974.72 |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) | 4174.41 | 67.92 | 4106.48 | 2384.36 | 80.00 | 2304.36 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4174.41 | 67.92 | 4106.48 | 2384.36 | 80.00 | 2304.36 |
| 03 03 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 3200.98 | 1134.60 | 2066.38 | 2151.56 | 1481.20 | 670.36 |
| | ხარჯები | 733.85 | 733.85 | 0.00 | 839.70 | 839.70 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 157.75 | 157.75 | 0.00 | 163.00 | 163.00 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 576.10 | 576.10 | 0.00 | 676.70 | 676.70 | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2467.13 | 400.75 | 2066.38 | 1311.86 | 641.50 | 670.36 |
| 03 03 02 | გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 120.00 | 120.00 | 0.00 | 140.00 | 140.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 120.00 | 120.00 | 0.00 | 140.00 | 140.00 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 120.00 | 120.00 | 0.00 | 140.00 | 140.00 | 0.00 |
| 03 03 04 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 19.20 | 19.20 | 0.00 | 28.00 | 28.00 | 0.00 |



| | | | | | | | |
|-----------------|--|----------------|---------------|----------------|---------------|---------------|---------------|
| | ხარჯები | 14.20 | 14.20 | 0.00 | 13.00 | 13.00 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 14.20 | 14.20 | 0.00 | 13.00 | 13.00 | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5.00 | 5.00 | 0.00 | 15.00 | 15.00 | 0.00 |
| 03 03 05 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სვეერებისა და ფასადების მოწყობა) | 2010.52 | 241.80 | 1768.72 | 911.86 | 241.50 | 670.36 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2001.97 | 233.25 | 1768.72 | 911.86 | 241.50 | 670.36 |
| 03 03 06 | ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები | 273.16 | 165.50 | 107.66 | 390.00 | 390.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 5.00 | 5.00 | 0.00 | 5.00 | 5.00 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 5.00 | 5.00 | 0.00 | 5.00 | 5.00 | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 268.16 | 160.50 | 107.66 | 385.00 | 385.00 | 0.00 |
| 03 03 07 | საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებები | 200.00 | 10.00 | 190.00 | 5.00 | 5.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 10.00 | 10.00 | 0.00 | 5.00 | 5.00 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 10.00 | 10.00 | 0.00 | 5.00 | 5.00 | 0.00 |
| 03 03 10 | ააიპ კომუნალური მომსახურება | 388.00 | 388.00 | 0.00 | 441.50 | 441.50 | 0.00 |
| | ხარჯები | 386.00 | 386.00 | 0.00 | 441.50 | 441.50 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 386.00 | 386.00 | 0.00 | 441.50 | 441.50 | 0.00 |
| 03 03 15 | ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი | 190.10 | 190.10 | 0.00 | 235.20 | 235.20 | 0.00 |
| | ხარჯები | 190.10 | 190.10 | 0.00 | 235.20 | 235.20 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 190.10 | 190.10 | 0.00 | 235.20 | 235.20 | 0.00 |
| 03 07 | მუნიციპალური ტრანსპორტის | 50.00 | 50.00 | 0.00 | 60.00 | 60.00 | 0.00 |



| | | | | | | | |
|-----------------|--|----------------|----------------|--------------|----------------|----------------|-------------|
| | სუბსიდირება | | | | | | |
| | ხარჯები | 50.00 | 50.00 | 0.00 | 60.00 | 60.00 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 50.00 | 50.00 | 0.00 | 60.00 | 60.00 | 0.00 |
| 03 08 | დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება | 177.53 | 155.20 | 22.33 | 189.40 | 189.40 | 0.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 177.53 | 155.20 | 22.33 | 189.40 | 189.40 | 0.00 |
| 04 00 | განათლება | 644.90 | 644.90 | 0.00 | 713.60 | 713.60 | 0.00 |
| | ხარჯები | 644.90 | 644.90 | 0.00 | 713.60 | 713.60 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 644.90 | 644.90 | 0.00 | 713.60 | 713.60 | 0.00 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 589.50 | 589.50 | 0.00 | 657.60 | 657.60 | 0.00 |
| | ხარჯები | 589.50 | 589.50 | 0.00 | 657.60 | 657.60 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 589.50 | 589.50 | 0.00 | 657.60 | 657.60 | 0.00 |
| 04 02 | მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი | 55.40 | 55.40 | 0.00 | 56.00 | 56.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 55.40 | 55.40 | 0.00 | 56.00 | 56.00 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 55.40 | 55.40 | 0.00 | 56.00 | 56.00 | 0.00 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 1258.90 | 1258.90 | 0.00 | 1332.80 | 1332.80 | 0.00 |
| | ხარჯები | 1256.20 | 1256.20 | 0.00 | 1332.80 | 1332.80 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 40.17 | 40.17 | 0.00 | 59.00 | 59.00 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 1185.80 | 1185.80 | 0.00 | 1243.80 | 1243.80 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 30.23 | 30.23 | 0.00 | 30.00 | 30.00 | 0.00 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 331.00 | 331.00 | 0.00 | 335.70 | 335.70 | 0.00 |
| | ხარჯები | 329.20 | 329.20 | 0.00 | 335.70 | 335.70 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 329.20 | 329.20 | 0.00 | 335.70 | 335.70 | 0.00 |
| 05 01 01 | ა(ა)იპ ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლა | 161.00 | 161.00 | 0.00 | 165.90 | 165.90 | 0.00 |



| | | | | | | | |
|-----------------|---|---------------|---------------|-------------|---------------|---------------|-------------|
| | ხარჯები | 159.20 | 159.20 | 0.00 | 165.90 | 165.90 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 159.20 | 159.20 | 0.00 | 165.90 | 165.90 | 0.00 |
| 05 01 02 | ა(ა)იმ საფეხბურთო კლუბი ხვამლი | 85.00 | 85.00 | 0.00 | 85.00 | 85.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 85.00 | 85.00 | 0.00 | 85.00 | 85.00 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 85.00 | 85.00 | 0.00 | 85.00 | 85.00 | 0.00 |
| 05 01 03 | ა(ა)იმ ფრენბურთის კლუბი "ცაგერი" | 85.00 | 85.00 | 0.00 | 84.80 | 84.80 | 0.00 |
| | ხარჯები | 85.00 | 85.00 | 0.00 | 84.80 | 84.80 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 85.00 | 85.00 | 0.00 | 84.80 | 84.80 | 0.00 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 909.00 | 909.00 | 0.00 | 976.70 | 976.70 | 0.00 |
| | ხარჯები | 908.10 | 908.10 | 0.00 | 976.70 | 976.70 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 40.17 | 40.17 | 0.00 | 59.00 | 59.00 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 851.20 | 851.20 | 0.00 | 902.70 | 902.70 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 16.73 | 16.73 | 0.00 | 15.00 | 15.00 | 0.00 |
| 05 02 01 | ა(ა)იმ ცაგერის კულტურის ცენტრი | 249.50 | 249.50 | 0.00 | 276.30 | 276.30 | 0.00 |
| | ხარჯები | 248.60 | 248.60 | 0.00 | 276.30 | 276.30 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 248.60 | 248.60 | 0.00 | 276.30 | 276.30 | 0.00 |
| 05 02 02 | ა(ა)იმ ცაგერის ისტორიული მუზეუმი | 143.50 | 143.50 | 0.00 | 146.20 | 146.20 | 0.00 |
| | ხარჯები | 143.50 | 143.50 | 0.00 | 146.20 | 146.20 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 143.50 | 143.50 | 0.00 | 146.20 | 146.20 | 0.00 |
| 05 02 03 | მუსიკალური სკოლის დაფინანსება | 54.20 | 54.20 | 0.00 | 61.10 | 61.10 | 0.00 |
| | ხარჯები | 54.20 | 54.20 | 0.00 | 61.10 | 61.10 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 54.20 | 54.20 | 0.00 | 61.10 | 61.10 | 0.00 |
| 05 02 04 | ცაგერის სამხატვრო სკოლის დაფინანსება | 49.50 | 49.50 | 0.00 | 50.40 | 50.40 | 0.00 |
| | ხარჯები | 49.50 | 49.50 | 0.00 | 50.40 | 50.40 | 0.00 |



| | | | | | | | |
|-----------------|--|---------------|---------------|-------------|---------------|---------------|-------------|
| | სუბსიდიები | 49.50 | 49.50 | 0.00 | 50.40 | 50.40 | 0.00 |
| 05 02 05 | ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკის დაფინანსება | 142.80 | 142.80 | 0.00 | 145.50 | 145.50 | 0.00 |
| | ხარჯები | 142.80 | 142.80 | 0.00 | 145.50 | 145.50 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 142.80 | 142.80 | 0.00 | 145.50 | 145.50 | 0.00 |
| 05 02 06 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 48.90 | 48.90 | 0.00 | 65.00 | 65.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 48.90 | 48.90 | 0.00 | 65.00 | 65.00 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 31.17 | 31.17 | 0.00 | 50.00 | 50.00 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 16.73 | 16.73 | 0.00 | 15.00 | 15.00 | 0.00 |
| 05 02 07 | ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 9.00 | 9.00 | 0.00 | 9.00 | 9.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 9.00 | 9.00 | 0.00 | 9.00 | 9.00 | 0.00 |
| | საქონელი და მომსახურება | 9.00 | 9.00 | 0.00 | 9.00 | 9.00 | 0.00 |
| 05 02 09 | ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი | 25.00 | 25.00 | 0.00 | 29.20 | 29.20 | 0.00 |
| | ხარჯები | 25.00 | 25.00 | 0.00 | 29.20 | 29.20 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 25.00 | 25.00 | 0.00 | 29.20 | 29.20 | 0.00 |
| 05 02 11 | ა(ა)იპ ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი | 49.20 | 49.20 | 0.00 | 35.20 | 35.20 | 0.00 |
| | ხარჯები | 49.20 | 49.20 | 0.00 | 35.20 | 35.20 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 49.20 | 49.20 | 0.00 | 35.20 | 35.20 | 0.00 |
| 05 02 14 | ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი | 72.60 | 72.60 | 0.00 | 84.60 | 84.60 | 0.00 |
| | ხარჯები | 72.60 | 72.60 | 0.00 | 84.60 | 84.60 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 72.60 | 72.60 | 0.00 | 84.60 | 84.60 | 0.00 |
| 05 02 15 | ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი | 64.80 | 64.80 | 0.00 | 74.20 | 74.20 | 0.00 |



| | | | | | | | |
|-----------------|--|---------------|---------------|-------------|---------------|---------------|-------------|
| | ხარჯები | 64.80 | 64.80 | 0.00 | 74.20 | 74.20 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 64.80 | 64.80 | 0.00 | 74.20 | 74.20 | 0.00 |
| 05 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 18.90 | 18.90 | 0.00 | 20.40 | 20.40 | 0.00 |
| | ხარჯები | 18.90 | 18.90 | 0.00 | 20.40 | 20.40 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 5.40 | 5.40 | 0.00 | 5.40 | 5.40 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 13.50 | 13.50 | 0.00 | 15.00 | 15.00 | 0.00 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 425.04 | 425.04 | 0.00 | 407.30 | 407.30 | 0.00 |
| | ხარჯები | 425.04 | 425.04 | 0.00 | 407.30 | 407.30 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 89.30 | 89.30 | 0.00 | 89.30 | 89.30 | 0.00 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 309.30 | 309.30 | 0.00 | 300.00 | 300.00 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 21.04 | 21.04 | 0.00 | 18.00 | 18.00 | 0.00 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 89.30 | 89.30 | 0.00 | 89.30 | 89.30 | 0.00 |
| | ხარჯები | 89.30 | 89.30 | 0.00 | 89.30 | 89.30 | 0.00 |
| | სუბსიდიები | 89.30 | 89.30 | 0.00 | 89.30 | 89.30 | 0.00 |
| 06 02 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 335.74 | 335.74 | 0.00 | 318.00 | 318.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 335.74 | 335.74 | 0.00 | 318.00 | 318.00 | 0.00 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 309.30 | 309.30 | 0.00 | 300.00 | 300.00 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 21.04 | 21.04 | 0.00 | 18.00 | 18.00 | 0.00 |
| 06 02 02 | ვეტერანთა სარიტუალო მომსახურებისა და კომუნალური ხარჯების დაფინანსება და კომუნალ | 0.50 | 0.50 | 0.00 | 0.50 | 0.50 | 0.00 |
| | ხარჯები | 0.50 | 0.50 | 0.00 | 0.50 | 0.50 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 0.50 | 0.50 | 0.00 | 0.50 | 0.50 | 0.00 |
| 06 02 03 | ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის | 2.50 | 2.50 | 0.00 | 2.50 | 2.50 | 0.00 |



| | | | | | | | |
|-----------------|--|---------------|---------------|-------------|---------------|---------------|-------------|
| | ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი დახმარება) | | | | | | |
| | ხარჯები | 2.50 | 2.50 | 0.00 | 2.50 | 2.50 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 2.50 | 2.50 | 0.00 | 2.50 | 2.50 | 0.00 |
| 06 02 04 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 230.74 | 230.74 | 0.00 | 215.00 | 215.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 230.74 | 230.74 | 0.00 | 215.00 | 215.00 | 0.00 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 212.70 | 212.70 | 0.00 | 200.00 | 200.00 | 0.00 |
| | სხვა ხარჯები | 18.04 | 18.04 | 0.00 | 15.00 | 15.00 | 0.00 |
| 06 02 05 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილოები) | 102.00 | 102.00 | 0.00 | 100.00 | 100.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 102.00 | 102.00 | 0.00 | 100.00 | 100.00 | 0.00 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 96.60 | 96.60 | 0.00 | 100.00 | 100.00 | 0.00 |

თავი IV მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 18

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 19

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 20

2019 წლის განმავლობაში ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე პრემიები და დანამატები გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 21

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 22

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველთვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის



შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 24

მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 0104-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2019 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 25

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 26

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 158 ათასი ლარი მიიმართოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის და სხვა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებლად.

მუხლი 27

2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 60,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

